

## მევენახეობის გეოგრაფიული ანალიზი: რაჭა-ლეჩხუმი

მომხსენებელი თეონა კობალია

ელ-ფოსტა: [teona.kobalia636@ens.tsu.edu.ge](mailto:teona.kobalia636@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3, საქართველო

საქართველოში ვენახის ჯიშების ფორმირების პროცესი ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. სამეურნეო ჯიშები კლიმატურ და ნიადაგურ პირობებთან შეგუებული და ჩამოყალიბებული ადგილობრივი ვაზის ჯიშებია. ბუნებრივი პირობების ცვლილებებიდან გამომდინარე საუკუნეთა განმავლობაში შეიქმნა ვაზის უნიკალური ჯიშები, რომელიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული წარმოშობის ადგილს.

ზოგიერთი გეოგრაფიული (ნიადაგობრივი, კლიმატური და ეკონომიკური) პირობების მიხედვით საქართველო იყოფა მევენახეობის ხუთ ზონად. მათ შორის ერთ-ერთია რაჭა-ლეჩხუმის ზონა, სადაც გამოიყოფა ქვემო რაჭისა და ლეჩხუმის ქვეზონები, ხვანჭკარისა და ტვიშის მიკროზონები, რომლებიც ცნობილია არსებული აბორიგენული, უნიკალური ვაზის ჯიშებით. ორივე მიკროზონის ვაზის ჯიშებზე და აქ წარმოებულ ღვინოებზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება, რაც განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადობას და მიგრაციული პროცესების პრევენციას.

ამჟამად რაჭა - ლეჩხუმში ვენახები გაშენებულია 1000 ჰექტრამდე, თუმცა ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა შემცირებული გასულ ათწლეულებთან შედარებით, ვაზის დაავადებათა გავრცელებასა და მოსახლეობის შემცირებას უკავშირდება. სამეურნეო ვენახები გაშენებულია ზღვის დონიდან 400–800 მეტრზე.

### ლიტერატურა

[1] ანა გოდაბრელიძე, ვაჟა გოცირიძე, ტექნიკური უნივერსიტეტი „მევენახეობა“ 2009 წ.

[2] ირმა მდინარაძე, დავით მალრაძე; „ვენახების კადასტრის თანამედროვე სისტემის დანერგვა საქართველოში“ ; „საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები და გამოწვევები“ 2015 წ.

[3] თ. დეკანოსიძე გ. მირველაშვილი „საქართველოს მევენახეობის სპეციფიკური მიკროზონები“ 2010 წ.